„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების უარყოფას პასუხობს

26 აპრილი, 2010 წელი, თბილისი, საქართველო

წარმოგიდგენთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პასუხს მთავრობის უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ მიმდინარე წლის 21 აპრილს გამოქვეყნებულ კომენტარზე[1]. ეს კომენტარი ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შესახებ ჩვენს 29 მარტის ანგარიშს[2] ეხება. უწყებათაშორისმა ჯგუფმა ანგარიში პუნქტობრივად განიხილა და თითოეულ პუნქტზე თავისი არგუმენტაცია დაურთო, რის შემდეგაც მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევები, გარდა ზუგდიდში ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიაში შესაძლო უკანონო ჩარევისა, არ ყოფილა. კომენტარში ასევე ნათქვამია, რომ უწყებათაშორისი ჯგუფი ზუგდიდის შემთხვევას გამოიძიებს და, მისი დადასტურების შემთხვევაში, შესაბამის ზომებს მიიღებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აფასებს ხელისუფლების ამგვარ გამოხმაურებას. წინა არჩევნებთან შედარებით, ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა, რადგან საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას 2006 წლის ადგილობრივი არჩევნებიდან მოყოლებული ვაკვირდებით, თუმცა, ჩვენს მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ამ ტიპის დეტალური კომენტარი წელს პირველად მივიღეთ.

მომავალი 30 მაისის არჩევნები საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის ტესტად აღიქმება. ამის გათვალისწინებით, არჩევნების თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიზნის მიღწევის ხელშესაწყობად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მზადაა, აქტიურად ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან (ცესკო) და არჩევნებში ჩართულ სხვა მხარეებთან.

წინამდებარე დოკუმენტში დეტალურად ვპასუხობთ უწყებათაშორისი ჯგუფის კომენტარს (ამ დოკუმენტის ფორმატი და ნუმერაცია იმეორებს უწყებათაშორისი ჯგუფის ფორმატსა და ნუმერაციას). თუმცა, უწყებათაშორის ჯგუფს აქვე

[1] უწყებათაშორისი ჯგუფი, *პასუხი „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშზე 2010 წლის 30 მაისის არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ,* http://www.civil.ge/files/files/IATF-Response-to-TI-Statment.pdf. ამ დოკუმენტის ქართული ვერსია ჯერ არ გამოქვეყნებულა.

[2] „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, *ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის,* http://transparency.ge/

ვთავაზობთ, ეს თანამშრომლობა შემდეგ საფეხურზე გადაიტანოს და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და მონიტორინგის განმახორციელებელი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უფრო პროაქტიულად, საწყის ეტაპებზევე ჩართოს.

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის გამოყოფილი ტრანსფერები

უწყებათაშორისი ჯგუფის კომენტარში ნათქვამია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში მითითებული ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის 2010 წელს გამოყოფილი ტრანსფერების თანხები და 2009 წელთან შედარებით მათი ზრდის პროცენტული მაჩვენებელი (34%-იანი ზრდა) არასწორია. ჯგუფის თქმით, ტრანსფერების საერთო რაოდენობა 2010 წლის გეგმით 967,9 მილიონი ლარია, 2009 წელს კი ის 847,2 მილიონი ლარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ წინა წელთან შედარებით წელს ტრანსფერებზე გამოყოფილი თანხა 14%-ით გაიზარდა.

უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ მოწოდებული რიცხვები 2009 და 2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტებს არ შეესაბამება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად[3], წელს ადგილობრივი თვითმმართველობების ტრანსფერებისთვის 836,9 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ამავე ვებ-გვერდებზე განთავსებულ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში[4] ასეთი ტრანსფერების საერთო რაოდენობა 622,5 მილიონი ლარი იყო და არა 847,2 მილიონი ლარი, როგორც ეს უწყებათაშორისი ჯგუფის კომენტარშია ნათქვამი. შესაბამისად, 2010 წლის ტრანსფერები 2009 წლის ტრანსფერებს 214,4 მილიონი ლარით, ანუ 34%-ით აღემატება.

ტრანსფერები ადგილობრივ ბიუჯეტებში (ათას ლარებში), 2007-2010 წწ.[5]

	2007	2008	2009	2010
გამოთანაბრებითი	13 233.0	320 982.0	276 616.2	522 553.0
მიზნობრივი	1 651.3	10 943.5	14 710.8	10 318.7
სპეციალური	28 978.2	154 392.1	280 937.4	304 937.4

[3] საქართველოს კანონი 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, http://www.mof.gov.ge/4069; http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=3889.

[4] საქართველოს კანონი 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, http://www.mof.gov.ge/budget/by_year/2009; http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=3455.

[5] კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge, საქართველოს პარლამენტი www.parliament.ge

ჯამი	43,862.5	486,317.6	622,496.4	836,934.0
ზრდა %	-	1008.7	28.0	34.4

2. თბილისის ბიუჯეტის ხარჯები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 29 მარტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თბილისმა 2010 წელს გამოთანაბრებითი ტრანსფერის სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან 323.0 მილიონი ლარი მიიღო, ხოლო ყველა სხვა მუნიციპალიტეტმა ერთად – 522.6 მილიონი ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის მიერ მიღებული დაფინანსება გამოთანაბრებითი ტრანსფერების საერთო რაოდენობის 61,8%-ს შეადგენს. უწყებათაშორისი ჯგუფის მტკიცებით, ეს რიცხვები არასწორია, რადგან ტრანსფერების საერთო რაოდენობა 2010 წელს 967.9 მილიონი ლარი, ხოლო თბილისის ტრანსფერი – 521.0 მილიონი ლარი იყო (53,8%). ეს მონაცემები, გარდა იმისა, რომ არასწორ (ჩვენთვის უცნობ) რიცხვებს ეყრდნობა, შეეხება ტრანსფერების ჯამს (გამოთანაბრებითი, მიზნობრივი და სპეციალური) და არა მხოლოდ გამოთანაბრებით ტრანსფერს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რიცხვები ამჯერადაც ფინანსთა სამინისტროსა და პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს ეყრდნობა. უწყებათაშორისი ჯგუფის კომენტარში წყარო მითითებული არ არის, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია, დავადგინოთ, თუ რა არის ჩვენსა და ამ ჯგუფის მაჩვენებლებს შორის ცდომილების მიზეზი.

რაც შეეხება თბილისის მერიის თანამშრომლების გაზრდილ რაოდენობას, აქ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ შეცდომა მართლაც დაუშვა – 2009 და 2010 წლებში თანამშრომელთა რაოდენობაში სხვაობა არა 410, როგორც ეს ჩვენს ანგარიშში იყო ნათქვამი, არამედ – 320-ია. თუმცა, სიმართლეს არ შეეფერება უწყებათაშორისი ჯგუფის განცხადება იმის შესახებ, რომ 2010 წელს მერიის თანამშრომელთა რაოდენობა რეალურად მხოლოდ ხუთით გაიზარდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ შეცდომის მიზეზი თბილისის 2010 წლის ბიუჯეტში ამავე წლის 22 თებერვალს შესული ცვლილებაა, რომლითაც არქიტექტურის სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა 112-ით განისაზღვრა. არქიტექტურის სამსახურის მერიაში ინტეგრირება 2009 წელს მოხდა (და არა 2010 წელს, როგორც ეს უწყებათაშორისი ჯგუფის კომენტარშია აღნიშნული), თუმცა, ეს ცვლილება ბიუჯეტში მხოლოდ 2010 წელს, 22 თებერვლის ცვლილებით, აისახა. 2009 წელს ამ სამსახურში 90 თანამშრომელი იყო, ხოლო 2010 წელს – 112.

უწყებათაშორისი ჯგუფის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მერიის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი ის საკანონმდებლო ცვლილებაც იყო, რომლის საფუძველზეც კონტრაქტით დაქირავებული თანამშრომლების სტატუსი შეიცვალა (უფრო ზუსტად, 20010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის 23-ე მუხლით აიკრძალა 2%-ზე მეტი

თანამშრომლის შტატგარეშე ყოლა) და ისინი სრულ განაკვეთზე დაკავებული საშტატო თანამშრომლები გახდნენ. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ბიუჯეტებში ყოველთვის აისახებოდა როგორც საშტატო, ასევე კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული თანამშრომლები, ამდენად, 143 კონტრაქტით აყვანილი თანამშრომლის შტატში ჩასმას მერიის თანამშრომელთა საერთო რაოდენობა არ უნდა გაეზარდა.

შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ 2009 წელთან შედარებით,2010 წელს თბილისის მერიის თანამშრომელთა რაოდენობა საგრძნობლად – 320-ით – გაიზარდა.

3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2010 წელს, წინა წელთან შედარებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება გაორმაგდა. უწყებათაშორისმა ჯგუფმა განმარტა, რომ ამის მიზეზი საპარლამენტო ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის შემდგარი შეთანხმება იყო და რომ საპარლამენტო ოპოზიცია სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსების გაზრდას გამუდმებით ითხოვდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" ამ პროგრამების მიზანშეწონილობის შესახებ არაფერი უთქვამს. ჩვენ წუხილი გამოვთქვით იმის გამო, რომ მთავრობამ ადგილობრივი თვითმმართველობები დაავალდებულა[6] სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მომსახურება და პროდუქცია ერთ პირთან მოლაპარაკების წესით შეესყიდათ (ამ პროგრამების უფრო სწრაფად განხორციელების მიზნით).

ჩვეულებრივ, სოფლის მხარდაჭერის პროგრამებით ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება და სოფლებში სხვადასხვა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა ფინანსდება. მცირე გამონაკლისების გარდა, ამ ტიპის სამუშაოები გადაუდებელ ღონისძიებათა კატეგორიას არ უნდა განეკუთვნებოდეს. ამდენად, უმჯობესი იქნებოდა, ადგილობრივ თვითმმართველობებს სახელმწიფო შესყიდვები არა ერთ პირთან მოლაპარაკების, არამედ ღია ტენდერების გზით განეხორციელებინათ.

მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გასულ წელსაც დააფინანსა, მაგრამ მაშინ ერთ პირთან მოლაპარაკების შესახებ დადგენილება არ მიუღია. წლევანდელი გადაწყვეტილება ბადებს ეჭვს, რომ შესასრულებელი სამუშაოების გადაუდებლობა მათი 30 მაისის არჩევნებამდე დამთავრების სურვილით არის განპირობებული.

---

[6] 2010 წლის 13 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიიღო №41 განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ".

4. სახელმწიფო რწმუნებულთა ადმინისტრაციების ხარჯების ზრდა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშის თანახმად, 2009 წელთან შედარებით, 2010 წელს სახელმწიფო რწმუნებულთა ადმინისტრაციები და შესაბამისად, მათი სახელფასო ფონდები მნიშვნელოვნად გაიზარდა (79%-ით და 104%-ით). უწყებათაშორისი ჯგუფის განცხადებით, ამის მიზეზი 2009 წლის 31 ივლისს „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ შესახებ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება იყო. ცვლილება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მერე მომზადდა. შედეგად, სახელმწიფო რწმუნებულებს საფრთხისა და ზარალის შემცირების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ჩატარებული საქმიანობის კოორდინაცია დაევალათ.

2009 წლის 31 ივლისის საკანონმდებლო ცვლილების დამტკიცების შემდეგ 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები ორჯერ შევიდა 2009 წლის 7 ნოემბერს და ამავე წლის 12 დეკემბერს. თუმცა, მაშინ სახელმწიფო რწმუნებულთა ადმინისტრაციები არ გაზრდილა. სახელმწიფო რწმუნებულებმა დამატებითი 1 მილიონი ლარი 2010 წლის სახელმწიფო ბიუეჯტში 22 თებერვალს, 30 მაისის არჩევნებამდე სამი თვით ადრე განხორციელებული ცვლილების საფუძველზე მიიღეს.

5. სოციალური პროგრამების დაფინანსება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მთავრობა წინასაარჩევნო პერიოდში სპონტანური და არათანმიმდევრული სოციალური პოლიტიკის გამოც გააკრიტიკა. მაგალითებად 2010 წელს თბილისში პენსიების 10 ლარით ზრდა, 167 271 თბილისელი პენსიონერისთვის სატრანსპორტო ბარათების დარიგება და უფასო სამედიცინო ვაუჩერებზე თბილისის ბიუჯეტიდან 4 მილიონი ლარის დახარჯვა მოიტანა. ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ მსგავსი ინიციატივები მერიამ 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინაც განახორციელა.

უწყებათაშორისი ჯგუფის პასუხის თანახმად, მთავრობის პოლიტიკა ზოგადად სოციალურ დახმარებაზეა ორიენტირებული და პენსიონერებისთვის დახმარების გაწევა წინა წლების ტენდენციის გაგრძელებაა. თუმცა, ჯგუფის კომენტარშივე ჩანს, რომ თბილისელმა პენსიონერებმა პენსიაზე დანამატი 2003-2004 წლებში, შემდეგ 2006 წელს (საარჩევნო წელს) და 2007 წლის სექტემბრამდე მიიღეს. ეს დანამატი 2008 და 2009 წლების თბილისის ბიუჯეტებიდან გაქრა, 2010 წლის ბიუჯეტში კი ისევ გაჩნდა.

უწყებათაშორისი ჯგუფი არ დაეთანხმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადებას იმის შესახებ, რომ თბილისელებისთვის პენსიების თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე ზრდა კანონს ეწინააღმდეგება და დასტურად თვითმმართველობის კანონის მეთექვსმეტე მუხლი მოიტანა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მეოცე მუხლში ნათქვამია, რომ პენსიის წყარო სახელმწიფო და, არა – ადგილობრივი, ბიუჯეტი უნდა იყოს. თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონის მეთექვსმეტე მუხლში კი წერია: თვითმმართველი ერთეული ექსკლუზიური უფლებამოსილებაა „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისთვის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება“ (მუხლი 16.2.ს). ეს განმარტება პენსიების გაზრდას არ მოიცავს.

სამედიცინო ვაუჩერები

2007 წელს სამედიცინო ვაუჩერებისთვის თბილისის ბიუჯეტში თანხა არ იყო გათვალისწინებული. ასეთი ჩანაწერი ბიუჯეტში 2008 (საარჩევნო) წელს გაჩნდა. მაშინ ვაუჩერებისთვის 1,69 მილიონი ლარი გამოიყო. 2009 (არასაარჩევნო) წელს ეს თანხა 0,015 მილიონ ლარამდე შემცირდა, ხოლო წელს 3 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

სხვადასხვა სოციალური პროგრამები

უწყებათაშორისი ჯგუფი ამტკიცებს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ განცხადების საპირისპიროდ, თბილისის მერია სოციალურ პროგრამებს არა მხოლოდ საარჩევნო, არამედ არასაარჩევნო წლებშიც აფინანსებდა. ამის დასამტკიცებლად ჯგუფს წარმოდგენილი აქვს 2007 და 2009 (არასაარჩევნო) წლებში განხორციელებული სოციალური პროგრამების სიები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ არ უარყოფს, რომ სოციალური პროექტები არასაარჩევნო წლებშიც ფინანსდებოდა, თუმცა, ასეთი პროექტების დასახელებების გარდა, საინტერესოა მათზე დახარჯული საერთო თანხებიც. ჯგუფის კომენტარში ასეთი თანხები მითითებული არ არის. გთავაზობთ ამ რიცხვებს:

სხვადასხვა სოციალური პროგრამები თბილისის ბიუჯეტში (ათას ლარებში), 2007-2010[7].

	2006	2007	2008	2009	2010
სოციალური დახმარება	15 225.8	12 489.0	54 848.7	58 461.3	121 592.4

[7] თბილისის ბიუჯეტები, 2007-2010 წწ., http://www.tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=174.

მათ შორის -					
თბილისში პენსიების ზრდა	4 000.0	8 950.0	0.0	0.0	20 200.0

ზოგადი შენიშვნა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მონდომებას, არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადებიდან მისი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე საბიუჯეტო ცვლილებების აკრძალვის გზით, ადმინისტრაციული რესურსების წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდოს (საქართველოს საარჩევნო კოდექსში 2009 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილება).

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების თარიღს პრეზიდენტი ადგენს. მიხეილ სააკაშვილმა 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების ოფიციალური თარიღი ამავე წლის 30 მარტს, არჩევნებამდე ზუსტად 60 დღით ადრე (კანონით დადგენილი ვადის ამოწურვის დღეს) დაასახელა. თუმცა, არჩევნების სავარაუდო თარიღი 2009 წლის ივლისიდან იყო ცნობილი. მაშინ პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა, რომ მომავალი წლის 30 მაისს ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას გეგმავდა.

ამან საკმარისი დრო დატოვა იმისთვის, რომ ბიუჯეტში ყველა საჭირო ცვლილება კანონით დადგენილი შეზღუდვების ამოქმედებამდე განხორციელებულიყო. მიმდინარე წლის მარტში საბიუჯეტო ცვლილებები (სულ – 44) 69 მუნიციპალიტეტიდან 41-ში შევიდა. ასეთი ტენდენცია წინა თვეებშიც დაფიქსირდა.

დასკვნა

2010 წლის 8 აპრილს ცესკომ და ხუთმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „2010 წლის არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ“ მემორანდუმს მოაწერეს ხელი[8]. მემორანდუმი, კანონის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციის პრევენციის მიზნით, საარჩევნო კოდექსის იმ დებულებებს განმარტავს, რომლებიც ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას არეგულირებს.

12 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გააკეთა საჯარო განცხადება, რომელშიც მემორანდუმი დადებითად შეაფასა და საჯარო მოხელეები გააფრთხილა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში უკანონოდ ჩართვის შემთხვევაში, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებოდნენ.

21 აპრილს მმართველი პარტია ამ მემორანდუმს მიუერთდა და კიდევ ერთხელ

[8] http://cec.gov.ge/old/?que=geo/press-center/press-releases&info=5815

გაუსვა ხაზი არჩევნების სამართლიან გარემოში ჩატარების აუცილებლობას. მემორანდუმი შემდეგი პრეამბულით იწყება:

„ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი ორგანიზაციები, ... ვიზიარებთ რა ადამიანური განზომილების შესახებ ეუთო-ის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტში ჩამოყალიბებულ მოსაზრებას მასზედ, რომ უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის“ (მუხლი 5.4) და, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს „პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მისცეს მათ ერთმანეთთან შეჯიბრების საშუალება კანონისა და ხელისუფლების წინაშე თანაბარი პირობების საფუძველზე“ (მუხლი 7.6)“

მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ სამართლიანი არჩევნების პრინციპები დაიცვას და ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენების წინააღმდეგ მტკიცე პოლიტიკური ნება გამოავლინოს. ამისთვის საჭიროა, რომ მან არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები დაიცვას (რომელთა დიდი ნაწილიც საკმაოდ ზოგადია), არამედ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საერთაშორისო (მათ შორის, კოპენჰაგენის დოკუმენტით დადგენილ) სტანდარტებსაც სცეს პატივი.

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge